“ტურიზმი, მემკვიდრეობა, შემოქმედებითობა”
იდეების კონკურსი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პროექტი „ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა“ (THC) იწვევს ადგილობრივი ტურიზმის, გასტრონომიის, ფოლკლორული მუსიკისა და ცეკვის წარმომადგენლებს, ხალხური რეწვის ოსტატებს, ღონისძიებების ორგანიზატორებს, აღნიშნულ სფეროებში ბიზნესის დაწყების მსურველებს და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სხვა პირებს/ორგანიზაციებს, იდეების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

კონკურსის სახელწოდებაა - „შემოქმედებითი ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციური სტარტაპები“

კონკურსის მიზანი:

კონკურსი მიზნად ისახავს გამოავლინოს ახალი იდეები შემოქმედებითი ტურიზმისა და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული სასაჩუქრე პროდუქტების/შეთავაზებების შესაქმნელად. გამარჯვებული იდეები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აქტორებისთვის, უნდა გახდნენ შემდგომი განვითარების მოდელი და ხელი შეუწყონ პარტნიორი ქვეყნების რეგიონების განვითარებას. კონკურსის შედეგად შეირჩევა 9 იდეა (ორ კატეგორიაში: 6 შემოქმედებითი ტურისტული შეთავაზება და 3 მემკვიდრეობაზე დაფუძნებული კულტურული პროდუქტი); იდეების განხორციელების შემდეგ, შეთავაზებები/პროდუქტები განთავსება THC პროექტის ონლაინ პლატფორმაზე; 6 შემოქმედებითი ტურიზმის შეთავაზების პრეზენტაცია მოხდება უკრაინაში ერთობლივ სემინარზე "მატერიალური და არამატერიალური აქტივები, როგორც შემოქმედებითი ტურიზმის განვითარების წყარო"; ხოლო 3 კულტურული პროდუქტის პრეზენტაცია და დემონსტრირება მოხდება „ეთნო-ფესტ 2022“-ზე. აგრეთვე, შეთავაზებებისა და პროდუქტების წარდგენა მოხდება ტრანსსასაზღვრო საინფორმაციო ტურების დროს;

კონკურსის პროცესი და მითითებები:

- ✓ შემოქმედებითი ტურიზმის შეთავაზებები შეიძლება ასახავდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროს ფართო სპექტრს, როგორიცაა მასტერკლასები ხალხურ რეწვაში, გასტრონომიაში, ხალხური ცეკვის ან სიმღერის გაკვეთილები; თეატრალიზებული სანახაობა, წარმოდგენა და ა.შ.;
- ✓ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული კულტურული პროდუქტები შეიძლება წარმოადგენდეს ხელნაკეთ ნივთებს, ტრადიციულ საკვებ პროდუქტებს და ა.შ;
- ✓ წარდგენილი იდეა უნდა ემსახურებოდეს არა კონკრეტული ბიზნესის, არამედ რეგიონისთვის დამახასიათებელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას;
- ✓ მოთხოვნის შესაბამისად შემოთავაზებული პროდუქტი/მომსახურებას უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი;
- ✓ შემოთავაზებული პროდუქტი/მომსახურების დანერგვა უნდა განხორციელდეს დახმარების მიღებიდან 3 თვეში;
- ✓ გამარჯვებული იდეების მდგრადობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი აპლიკანტების მიერ, THC პროექტის დასრულების დღიდან (2022 წლის დეკემბერი) 5 წლის განმავლობაში;
- ✓ კონკურსის შედეგად შეირჩევა 9 იდეა (6 შემოქმედებითი ტურისტული შეთავაზება და 3 კულტურული პროდუქტი);
- ✓ გამარჯვებულებს არ გადაეცემათ თანხა. იდეის ბიუჯეტი არ უნდა იყოს **1200 ევროზე** (ეროვნულ ვალუტაში, გაცემის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსის შესაბამისად, ყველა გადასახადის ჩათვლით) მეტი;
- ✓ გამარჯვებული აპლიკანტები მიიღებენ ექსპერტების კონსულტაციებს (პრაქტიკულ, თეორიულ და ადგილზე დახმარებას) საქმიანობის მთელი ჯაჭვის - იდეიდან საბოლოო პროდუქტამდე - შემუშავების დროს. ასევე, მიიღებენ მატერიალურ დახმარებას ინსტრუმენტების, სახარჯო მასალების და ნედლეულის სახით, რომელიც გამოყენებული იქნება საპილოტე ღონისძიებების დროს; არ ფინანსდება - მიწის, სახელოსნოს, ძირითადი საშუალებების შეძენა, ასევე ხელფასები;
- ✓ პროექტი უნდა განხორციელდეს საქართველოს რეგიონებში (ერთნაირი საკონკურსო ქულების დაგროვების შემთხვევაში, პრიორიტეტი მიენიჭება აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში პროექტის განხორციელებას);
- ✓ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია როგორც ყველა სახის იურიდიულ პირს, ისე ფიზიკურ პირს. თუმცა, გამარჯვებული ვალდებული იქნება დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელად ხელშეკრულების ხელმოწერამდე;
- ✓ პილოტირებისთვის აუცილებელი სივრცე/ფართი უზრუნველყოფილი უნდა იყოს აპლიკანტის ან პროექტში მითითებული პარტნიორების მიერ;

- ✓ პროექტის ფარგლებში შექმნილი კულტურული პროდუქტის და შემოქმედებითი ტურიზმის შეთავაზებების საავტორო უფლებები რჩება გამარჯვებულ აპლიკანტს, თუმცა, პროექტის მფლობელობაში დარჩება სამაგალითო ასლები, მათი დემონსტრირების და პუბლიკაციებში გამოყენების უფლება, ავტორის მითითების ვალდებულებით.
- ✓ პროექტის გამარჯვებულები ვალდებულნი არიან - ერთხელ საკუთარი (გამარჯვებული ბიუჯეტის) ხარჯებით უფასოდ და ორჯერ ნედლეულზე ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დახმარებით დაფინანსებით, მოახდინონ შემუშავებული/საბოლოო პროდუქტების ტესტირება/პილოტირება პროექტის ფარგლებში ორგანიზებული საინფორმაციო ტურებისა და სხვა სადემონსტრაციო ღონისძიებების დროს;
- ✓ ყველა დოკუმენტი წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად არაუგვიანეს 27 სექტემბრისა 2021, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: contest@gaccgeorgia.org . არასრული დოკუმენტაციისა და დაგვიანების შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადი ჩაითვლება ბათილად და არ განიხილება კომისიის მიერ. წერილის საგანში (subject) მიუთითეთ აპლიკანტის სახელი და გვარი.
- ✓ მხოლოდ გამარჯვებულ აპლიკანტებთან მოხდება დაკავშირება.

კონკურსის თანმიმდევრობა:

- განაცხადის გამოგზავნის ბოლო ვადა -2021 წლის 27 სექტემბერი,
  - ონლაინ კონსულტაცია მონაწილეებისთვის (მოთხოვნის შესაბამისად) - 2021 წლის 15 სექტემბერი;
- გამარჯვებული იდეების შერჩევა - 2021 დეკემბერი;
- შემოქმედებითი ტურისტული შეთავაზებებისა და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული პროდუქტების განვითარება;
- შეთავაზებების/პროდუქტების განთავსება THC პროექტის ონლაინ პლატფორმაზე;
- 6 შემოქმედებითი ტურიზმის შეთავაზების პრეზენტაცია უკრაინაში ერთობლივ სემინარზე "მატერიალური და არამატერიალური აქტივები, როგორც შემოქმედებითი ტურიზმის განვითარების წყარო";
- შეთავაზებებისა და პროდუქტების წარდგენა ტრანსსასაზღვრო საინფორმაციო ტურების დროს;
- 3 კულტურული პროდუქტის პრეზენტაცია და დემონსტრირება „ეთნო-ფესტ 2022“-ზე.*

***ვადები დაზუსტდება დამატებით.**

ელექტრონულად წარსადგენი დოკუმენტაცია:

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- 5 ფოტოსურათი, რომლებიც ასახავს იმ ადგილს ან სახელოსნოს, სადაც განხორციელდება შემოქმედებითი ტურისტული შეთავაზება/პროდუქტი;
- გადასახადის გადამხდელად ან იურიდიულ პირად რეგისტრაციის დოკუმენტი, თუ აპლიკანტი უკვე არის რეგისტრირებული;
- შერჩევის პროცესში შესაძლოა დამატებითი დოკუმენტაცია იქნას მოთხოვნილი. მაგალითად: პროექტის განხორციელების ფართის მფლობელობის დამამტკიცებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან იჯარის ხელშეკრულება;

მონაწილეების შეფასება:

აპლიკანტებს შეაფასებთ მოწვეული დამოუკიდებელი ჟიური.
კონკურსის ძირითადი კრიტერიუმები იქნება ინოვაციური მიდგომა, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ასახვა, იდეის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პოტენციალი, შემოთავაზებული სტარტაპის მდგრადობა, იდეის პოტენციალი შეიტანოს წვლილი რეგიონის განვითარებაში.

პროექტის შესახებ:

კონკურსი ტარდება პროექტის - „ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა“ (THC) ფარგლებში - რომელიც ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის (GACC ქ.თბილისი, საქართველო), კულტურული ტურიზმის ევროპული ინსტიტუტის (EUREKA NPO ქ.დობრიჩი, ბულგარეთი) და ქალაქი მიკოლაევის ფონდის განვითარების ფონდის (FDN, ქ.მიკოლაევი, უკრაინა) ერთობლივი მცდელობაა. პროექტის მიზანია ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის სექტორების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი საერთო განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებები ემსახურება შემოქმედებითი ტურიზმის შემოთავაზებების და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული პროდუქტების დახმარებით ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. THC დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მხარდაჭერით. პროექტის განხორციელების პერიოდია 26.09.2020 და 26.12.2022.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org

მის: ნიკო ნიკოლაძის ქ.#7, თბილისი - 0108, საქართველო;
სამუშაო დრო: ორშაბათი-პარასკევი 11:00-18:00;
ტელ: (+995 32) 293 13 35;
მობ.: (+995) 599 675 475
ელ. ფოსტა: contest@gaccgeorgia.org

გისურვებთ წარმატებებს!